

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 2**

ქ. ლანჩხუთი

18.02.2020

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე**.

კომისიის წევრები: ზაზა წულაძე, კარლო კვიტაიშვილი, ალექსანდრე მახათაძე, ზურა კუკულავა, ზაალ სანაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის განყოფილების უფროსი ომარ ჯანაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის“ დირექტორი გელა ზოიძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორი დავით წულაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ირაკლი მარშანიშვილი, ოთარ პატიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

5. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის“ მიერ 2019 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

6. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მიერ 2019 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

8. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი საჭიროებს დამატებით მოკვლევასა და შესწავლას. ამიტომ აღნიშნული საკითხი ამოღებული იქნას დღევანდელი კომისიის სხდომის დღის წესრიგიდან და ერთი კვირის ვადაში მოწვეული იქნას კომისიის განმეორებითი სხდომა, ასევე მოწვეული იქნას მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები. მიღებულ გადაწყვეტილებას კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 7; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყეიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და

საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით.

მუხლი 1

საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ მრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

- ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე-3-ჯერ
- ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე-2-ჯერ
- გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე-1,5-ჯერ
- დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს-3-ჯერ

მუხლი 2

საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 3 1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველი მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექმნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

მუხლი 3

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

- ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის- საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 პროცენტი.
- ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის- საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი.

მუხლი 4.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ლარებში:

- 1.სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული) – 20.00
- 2.სამოვარი ბუნებრივი გაკულტურებული) -16.00
- 3.სახნავი (მათ შორის , მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბადე, საბოსტნე,-) 73.00
- 4.საკარმიდამო -73.00
- 5.სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის;
 - ა) სათიბი- 20.00
 - ბ) სამოვარი- 16.00
 - გ) სახნავი - 73.00

მუხლი 5

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე 3 ლარით.

მუხლი 6

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

№ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	ტერიტორიული კოეფიციენტი	საბაზისო განაკვეთი
წლიური გადასახადის განაკვეთი		1მეტრ/კვადრატზე
1მეტრ/კვადრატზე (3x4)		(ლარებში)

1 ქ. ლანჩხუთი	1,0	0,24	0,24
2 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში		0,9	0,24
0,216			

მუხლი 7

1. ქონების გადასახადიდან განთავისუფლდეს:

ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600კვ.მ-ს.

ბ) ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24კვ.მ-ს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი.

3. ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: $CN=IMGX \cdot ITL \cdot X \cdot XC \cdot K$, სადაც: (მუხლი 1)

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

2. IMG არის ქ.ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0, 38-ს.
3. ITL არის ლოკალური ტერიტორიულ ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.
4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0, 24 ლარს.
5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

მუხლი 2.

პირველი მუხლის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: $CN=0, 38 \times I \times O, 24 \times 100=9, 12$

მუხლი 3.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19.

მუხლი 4.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5.

სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვადემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2019 წლის 13 სექტემბრის NLA 6 19 00024306 წერილით, მომართა სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-ს

(ს/ნ 204534058) დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა, რომელმაც საკონსულტაციო ცენტრის მოსაწყობად, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N21-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.011) პირველ სართულზე არსებული 13.34 კვ.მ. N16 ფართი) სარგებლობის უფლებით გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა). მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ თხოვნით მიმართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განიხილოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და მისცენ თანხმობა. მან ასევე განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის მიერ 2019 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა ცენტრის დირექტორმა გელა ზოიძემ. მან აღნიშნა, რომ „ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“ უფლებამოსილებას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 15 აპრილის ბრძანების „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის“ (ს/კ233733984) საფუძველზე წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შესაბამისად. ცენტრი დაკომპლექტებულია 29 თანამშრომლით, ფუნქციონირებს 5 განყოფილება:

- სოფლის მეურნეობის განვითარების
- მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის
- ინვესტიციების, სტრატეგიული დაგეგმარების და პროექტირების
- საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების
- ტურიზმის განვითარების

სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილება

მიმდინარე წელს, სახელმწიფოს მიერ, დასავლეთ საქართველოს შესაბამის რეგიონებში სოფლის მეურნეობის დახმარებისა და განვითარების კუთხით, პრიორიტეტად განისაზღვრა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა. ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით, ადრე გაზაფხულიდან სექტემბრის ბოლომდე განხორციელდა ინტენსიური სამუშაოები. მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ არეალში ოპერატიულად და ეფექტურად ტარდებოდა ტერიტორიების შეწამვლა, პროცესში აქტიურად იყო ჩართული ცენტრი, კერძოდ: ფუნქციონირებდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით აკვირდებოდა და მერის დავალებით მონიტორინგს უწევდა შეწამვლის პროცესებს. საანგარიშო პერიოდში ფერომენები „მოიზიდეს და მოკალი“ განთავსდა სოფლების პერიმეტრის 663 ჰა-ზე. თერმული ნისლით დამუშავდა 2400 ჰა.

ა(ა)იპ-ის კომპეტენციებიდან და შესაბამისი განყოფილების დებულებიდან გამომდინარე ჩატარდა სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული სამუშაოები სოფლის მეურნეობის განვითარებისა და დახმარების მიზნით. საანგარიშო პერიოდში კონსულტაციები გაეწია მუნიციპალიტეტის

ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებსა და სოფლად მეწარმეობისა და ფერმერული მეურნეობების განვითარებით დაინტერესებულ პირებს, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამების შესახებ, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობაში შესაბამისი აგროკულტურების და მისი გადამამუშავების ხელშეწყობა და განვითარება.

ა(ა)იპ-ის შესაბამისი განყოფილება მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელთა მიზანი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების და რეგიონისთვის სპეციფიკური და თავსებადი მრავალწლიანი თუ ერთწლიანი კულტურების და განაშენიანებისთვის ცოდნისა და უნარჩვევების გაღრმავება. კერძოდ, ქ. ოზურგეთში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში „კივის“ წარმომადგენელთა ასოციაციისა და კომპანია „ნერგეტას“ ორგანიზებული ტრენინგი-„კივის მოყვანის თანამედროვე აგროტექნოლოგიისა და ევროპული ხარისხით ევროკავშირის ბაზრისკენ. ტრენინგს ესწრებოდნენ გურიის „კივის“ მწარმოებელი ფერმერები.

შეხვედრა „ენპარდის“ პროგრამით დაფინანსებული კოოპერატივების განვითარების ფონდის ხელმძღვანელებთან და კოოპერატივების 2019 წლის დაფინანსების საკითხების განხილვა.

შეხვედრა თურქული კომპანიის წარმომადგენლებთან ბიოლოგიურად სუთა პესტიციდების საქართველოში მოხმარებასთან დაკავშირებით.

შეხვედრა „ემპარდის“ გამარჯვებულ კოოპერატივებთან და ახალი საგრანტო პროგრამების გაცნობა.

„კივის“ მწარმოებელთა ასოციაციის შეხვედრაში მონაწილეობა DCFT-ის ფორმატში.

შეხვედრა ოზურგეთში „თხილის მოსავლის გადარჩენის პროგრამის გაცნობა გურიაში.“

თხილის მოსავლის გადარჩენის პროგრამაში სამეგრელოს თხილის მწარმოებლებთან გურიის რეგიონის ფერმერების ჩართვა.

ქ. ქუთაისში შეხვედრა გურიის სოფლის მეურნეობის მეწარმეებთან ერთად, იმერეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში მეფუტკრეობის მხარდამჭერი პროგრამის განვითარების სტრატეგიის საკითხებზე.

ქ. ბათუმში თევზის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა.

მონაწილეობა საქართველო-კვიპროსის ეკონომიურ ფორუმში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. შუხუთში „ლელო 2019“ ტრადიციულ ლელო ბურთის კულტურულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

შეხვედრა სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ.

შეხვედრა-ტრენინგი მეწარმეებთან ოზურგეთში, თემა „ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებები და პროდუქტის სარეალიზაციოდ მომზადება“.

შეხვედრა ლანჩხუთში საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლებთან. „თემა ერთად ყველაფერს შევცვლით“

შეხვედრები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დირექტორთან ვალერი ბასარაიასა და ჩაის მწარმოებელი ასოციაციის თავმჯდომარესთან თენგიზ სვანიძესთან, გურიაში ლურჯი მოცვის სახელმწიფო პროგრამაში დარეგისტრირებულ ლანჩხუთელ ფერმერებთან ერთად.

მონაწილეობის მიღება რაჭაში, კერძოდ ამბროლაურში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ჩიბათის“ მიერ წარმოებული ჩაის გამოფენა-გაყიდვაში.

სოფელ ჩიბათში კოოპერატივ „ჩიბათის“ ჩაის საწარმოში შეხვედრის ორგანიზება. აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის ჯგუფთან აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარესთან რუსლან აბაშიძესთან, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრთან ამირან დოლიძესთან და მთავრობის სხვა წევრებთან.

შეხვედრები ლანჩხუთში აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სპეციალისტებთან და გურიაში მცხოვრებ დევნილ მეფუტკრეებთან. 30 მეფუტკრის შერჩევა მათი დახმარებისა და შემდგომში კოოპერატივებად ჩამოყალიბებისათვის.

შეხვედრა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. CARE ჩეხეთის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ფონდის, სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს (RCDA) და ჩეხური კომპანია “Holistic Solution” სოფლად თანამედროვე ტექნოლოგიების ხელშეწყობის პროექტის „ენერგოეფექტური ტექნოლოგიები სოფლის განვითარების“ პრეზენტაციაზე.

შეხვედრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან თურქული კომპანია “ჯორჯიან ტექნოლოჯის“ დამფუძნებლებთან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აგროპროექტის, ბიოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის მოყვანა-გადამუშავება -ექსპორტირება“ საკითხებზე.

შეხვედრა მეწარმეებთან, სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარებთან, „ლურჯი მოცვის პლანტაციის შექმნა და წარმოების გაფართოება “ საპარტნიორო ფონდისა, ქართული კომპანია „ვანრიკ აგროს“ და შპს „ეფკოს“ ერთობლივ პროექტის შესახებ.

ლანჩხუთის რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ კოოპერატივ „კობრას“, მონაწილეობის უზრუნველყოფა, „ქართული ყველისა და კულინარიის ფესტივალზე“ გურჯაანის მუნიციპალიტეტში.

ინვესტიციების სტრატეგიული დაგეგმარების და პროექტირების განყოფილება

საანგარიშო პერიოდში აწარმოებდა შეხვედრებს მოსახლეობასთან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში,.

ასევე განყოფილება აქტიურად იყო ჩართული პროგრამის „დანერგე მომავალი“ გახორციელებაში, შესაბამის დახმარებას უწევდა დაინტერესებულ ბენეფიციარებს.

აქტიური მონაწილეობა მიიღო ქ. ქუთაისში, იმერეთის რეგიონალურ სავაჭრო-სამეწველო პალატის ოფისში საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების და ამავე სფეროში სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

სოფლის მეურნეობის განყოფილების სპეციალისტებთან ერთად მომზადებული იქნა ხელშეკრულება ჯიხეთის დედათა მონასტერსა და თურქ ინვესტორებს შორის, რის საფუძველზეც 63 ჰა მიწის ნაკვეთი გაცემული იქნა იჯარით.

განყოფილება აქტიურ მონაწილეობა იღებდა „ჯორჯიან ტექნოლოჯის“ ოფისის გახსნაში.

სოფლის მეურნეობის განყოფილებასთან ერთად მომზადებული იქნა გურიის რეგიონალური პალატის ოფისის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა და ცენტრის შენობაში სანიტარული კვანძის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია.

განყოფილების მიერ შეგროვებული იქნა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო ქონების შესახებ. მოხდა სოფლების მოსახლეობის ინფორმირება არსებულ საინვესტიციო გარემოსთან დაკავშირებით.

განყოფილება აქტიურად ესწრებოდა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებს. აწარმოებდა საინფორმაციო სტენდს, რომელიც ეხმარება დაინტერესებულ პირებს ეკონომიკის განვითარებისა და ინოვაციური სიახლეების გაცნობა-ინფორმირებაში. სხვა განყოფილებებთან ერთად, განყოფილების აქტიური მონაწილეობით მომზადდა მასალები მე-3 საერთაშორისო კონფერენციის „ახალი შესაძლებლობები, რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის“, რომლის მიზანი იყო რაიონში ახალი ინვესტიციების მოძიება და ინოვაციურ პროექტებზე დისკუსია და მსჯელობა. ამ კონფერენციაზე, მომხსენებლის, კომპანია „ორბის“ დირექტორის ირაკლი კვერდელიძის მიერ გურიის რეგიონში პირველად, სრულად და მკაფიოდ გაჟღერდა ისეთი საინვესტიციო პროექტის შესახებ, როგორიცაა ბახმაროს საერთაშორისო კურორტად გადაქცევის გეგმა. კონფერენციაზე მოწვეული იყო, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი ბიზნესმენები, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი პროექტები და სამომავლო გეგმები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით.

განყოფილების მიერ მოპოვებული ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული საპრივატიზაციო მიწებისა და შენობა-ნაგებობის შესახებ მიწოდებული იქნა დაინტერესებული პირებისთვის, შესაძლო ინვესტორებისთვის.

განყოფილება აქტიურად მონაწილეობდა გაეროს განვითარების პროექტი „რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

“მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროექტის შემუშავებაში. ასევე გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში UNDP პროექტი რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, (FRLD- ფაზა 2) – „ტურისტული მარშრუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალო მთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისათვის“ პროექტის შედგენა და დასრულება.

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში UNDP პროექტი რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, (FRLD- ფაზა 2) - გურიის ნატურალური ხილ-პროდუქტების წარმოების განვითარება, ბიზნეს გეგმის შემუშავება.

გაეროს განვითარების პროგრამა „ადგილობრივი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობა“. საგრანტო კონკურსის პრეზენტაცია, გურიის არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა.

მეწარმეობის განვითარების განყოფილება

თბილისში გამართულ მეწარმეთა შეხვედრებზე მონაწილეობის მიღება და აქტიური ჩართულობა.

ქ. ქუთაისში, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით ა(ა)იპ - ის შესაბამისი სამსახურის შეხვედრა, მეფუტკრეობის დარგში შიგა და გარე ბაზრობაზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიღებასთან დაკავშირებით, ამ მიზნის მიღწევისთვის, მოცულობის გაზრდისთვის, მეფუტკრეობის პროდუქციის ღრმა დამუშავების ტექნოლოგიის დანერგისთვის.

ცენტრის სხვა განყოფილებებთან ერთად მონაწილეობის მიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში ტრადიციული „ლელობურთის“ კულტურული ღონისძიებაში, სადაც წარმოდგენილი იქნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქცია: კერძოდ, კოოპერატივ „ჩიბათის“ მიერ წარმოებული პროდუქცია (ჩაი), კოოპერატივ „ერთობის“ მიერ წარმოებული პროდუქცია (თაფლი და სპირტიანი სასმელები დამზადებული თაფლის პროდუქტიდან), კოოპერატივ „თანამედროვე მეფუტკრეობის“ მიერ წარმოებული თაფლი.

მეწარმეთა განყოფილების მთავარ საქმიანობას საანგარიშო პერიოდში წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა, დოკუმენტაციის მომზადება, ასევე კონსულტაციის გაწევა, დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტებთან მუშაობა. განყოფილების კონსულტაციით შეიქმნა და დარეგისტრირდა 6 ახალი კოოპერატივი. შეხვედრა იძულებით გადაადგილებულ პირებთან ერთად, სადაც განხილული იქნა მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა.

მონაწილეობა ქ. თბილისში, საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გამართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ტექნიკის მე-19 საერთაშორისო გამოფენაზე.

მონაწილეობა შეხვედრაში „შავი ზღვისპირა ფუნქციური რეგიონი, მისი მიზიდულობის ცენტრები და კონკურენტული უპირატესობები“.

მონაწილეობა ქ. ლანჩხუთში, DCFTA საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებულ სავაჭრო-სამრეწველო პალატის რეგიონების დეპარტამენტისა დირექტორის გიორგი ჩიტაძის შეხვედრა-ტრენინგში გურიის სამივე მუნიციპალიტეტის მეწარმეებთან.

ტურიზმის განყოფილება

ტურიზმის განყოფილებამ წლის დასაწყისში შეიმუშავა მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა. დაიგეგმა კურორტ გრიგოლეთში მდებარე სასტუმროების და მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ობიექტების მონიტორინგი. ფინანსების არქონის გამო ვერ მოხერხდა ვებ. გვერდის განახლება.

მონაწილეობა მიიღო ქ.ოზურგეთში პროექტ „რა ყოფილა გურიას“ დასკვნით პრეზენტაციაზე, როგორც სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე მხარემ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში გამოაცხადდა კონკურსი „კულტურული მარშრუტების გამოვლენა და პოპულარიზაცია“. მერიის ტურიზმის განყოფილებასთან ერთად

შექმნა პროექტი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურული მარშრუტების მარკირება და პოპულარიზაცია“.

პოპულარიზაცია და აქტიური მუშაობა გაუწია გურიის მხარის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებულ ფოტო-კონკურსს „ეს გურიაა“, რომელშიც გაიმარჯვა ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის მოსწავლემ ქეთა მენაღარიშვილმა.

მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-გაყიდვაში „ექსპო ჯორჯია-2019“.

ჩვენი მუნიციპალიტეტი საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად (ქობულეთი, ფოთი, ბათუმი) გაერთიანებულია საერთაშორისო ანსაბლეაში „მწვანე ტურიზმი“, აქედან გამომდინარე მომზადდა მასალები ვებ. გვერდისთვის.

დამუშავდა ორი პროექტი ვირტუალური გიდისთვის და ტურისტული ისტორიული ობიექტების ენერგოეფექტურობის შესახებ.

მომზადდა ორი პროექტი გაეროს განვითარების ფონდისთვის: 1. სოფელ აცანაში, აკიბულას ჩანჩქერის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა და მისი ტურისტულ ობიექტად ქცევა. 2. გრიგოლეთის მუნიციპალური პლაჟის კეთილმოწყობის პროექტი.

სამსახურის სხვა განყოფილებებთან ერთად მოეწყო გასვლითი ტური აცანისა და ჩოჩხათის თემებში ორი დიდი პროექტის მოსამზადებლად ადგილზე ლოკაციების შესასწავლად. გამომდინარე აქედან მომზადდა ორი პროექტი: 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მცირე გადმოსახედეები“ და 2. „ტურისტული მარშრუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისათვის.“ მეორე პროექტმა გაიმარჯვა გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“. დაინტერესებულ პირებს მეგზურობა გაეწიათ „ორკარის კანიონში“.

საგარეო-ეკონომიკური კავშირთა ურთიერთობების განყოფილება

საანგარიშო პერიოდში შესაბამისი სამსახური აქტიურ კომუნიკაციას ეწეოდა დამეგობრებულ ქალაქებთან, კუპიშკისთან /ლიტვა/, როსონთან /ბელორუსია, / და ნოვა-კახოვკასთან /უკრაინასთან./ სოციალური ქსელის მეშვეობით ხდებოდა მუნიციპალიტეტში საჭირო და საინტერესო ინფორმაციების გაცვლა სამეურნეო-სავაჭრო- კულტურულ საკითხებში, რაც ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ურთიერთობების დამყარებას და გაუმჯობესებას.

განყოფილება აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის მოპოვების მხრივაც.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრს“ და მცხეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის განვითარების ცენტრს“ შორის შეთხზმებული იქნა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ოქტომბერში.

მეთევზეობის განვითარების მხრივ, მოწვეული იყო უკრაინის ქ. ნოვა-კახოვკის სახელმწიფო დაწესებულების „ნოვა-კახოვკის შერეული ჯიშების თევზის მეწველობის საწარმოს“ დირექტორი.

აქტიური მონაწილეობა მივიღეთ ავსტრიიდან, ვენის უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის 20 კაციანი აგროჯგუფის მიღებაში „ჩიხათის ჩაის“ გადასამუშავებელ ბაზაზე.

განყოფილებამ, სხვა განყოფილებებთან ერთად მოამზადა და ჩაატარა ლანჩხუთის მე-3 საერთაშორისო კონფერენცია „ახალი შესაძლებლობები რეგიონთშორისი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის,“ სადაც მოწვეულ იქნა სტუმრები ყაზახეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ჩეხეთიდან და თურქეთიდან.

ორგანიზება გაუწია ყაზახეთიდან, კერძოდ ალმა-ატადან პოტენციალური ინვესტორის ჩამოყვანას და დახვედრას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული და დადებითად შეფასდა ა(ა)იპ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის“ მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მიერ 2019 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორმა დავით წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2019 წლის პროგრამული ბიუჯეტით დამტკიცდა 1333000 ლარით. აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 343070 ლარი, ფაქტიური ხარჯი 342536 ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით 567390 ლარი, ფაქტიური ხარჯი 566949 ლარი, მივლინება გეგმით 500 ლარი, ფაქტიური ხარჯი 285 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 57884 ლარი, ფაქტიური ხარჯი 55337 ლარი, რბილი ინვენტარი გეგმით 1270 ლარი, ფაქტიური ხარჯი 1235 ლარი. ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი 268108 ლარი, ფაქტიური ხარჯი 267945 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 91978 ლარი, ფაქტიური ხარჯი 91834 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 2800 ლარი, ფაქტიური ხარჯი 2790 ლარი.

1. დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა კოდი-03 01, წლიური დამტკიცებული გეგმა 895000 ლარი, ფაქტიური ხარჯი 891911 ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 199500 ლარი, ფაქტიური ხარჯი 199455 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით 401200 ლარი, ფაქტიური ხარჯი 400998 ლარი, მივლინება გეგმით 500 ლარი, ფაქტიური ხარჯი 285 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 40000 ლარი, ფაქტიური ხარჯი 37513 ლარი, რბილი ინვენტარი გეგმით 1150 ლარი, ფაქტიური ხარჯი 1115 ლარი. ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი 243910 ლარი, ფაქტიური ხარჯი 243893 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 5940 ლარი, ფაქტიური ხარჯი 5862 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 2800 ლარი, ფაქტიური ხარჯი 2790 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორმა დავით წულაძემ აღნიშნა, რომ განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების გატანას, რომელსაც 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი ემსახურება. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ჯურუყვეთი, ნიგვზიანი, გრიგოლეთი, ყვავილნარი, წყალწმინდა, ნინოშვილი, სუფსა, ჩოჩხათი, აცანა, მამათი, ჩიბათი, ლესა, ეწერი, შუხუთი, ნიგოთი. შეგროვებული ნარჩენები გადის ფოთის, ურეკის და ოზურგეთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 85 მე/კუბი ნარჩენი. ყოველდღიურად მუშაობს 4 ნაგავშიდი ზღვის სეზონთან დაკავშირებით. დასუფთავების სამსახური უზრუნველყოფს სანაპირო ზოლის დაგვა-დასუფთავებას და ყოველდღიურად გადის 45 მე/კუბი ნარჩენი.

2. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია კოდი- 02 03 01 01, წლიური დამტკიცებული გეგმა 123800 ლარი, ფაქტიური ხარჯი 123661 ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 41490 ლარი, ფაქტიური ხარჯი 41470 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 10050 ლარი, ფაქტიური ხარჯი 10039 ლარი, რბილი ინვენტარი გეგმით 120 ლარი, ფაქტიური ხარჯი 120 ლარი. ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი 19460 ლარი, ფაქტიური ხარჯი 19364 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 52680 ლარი, ფაქტიური ხარჯი 52668 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორმა დავით წულაძემ აღნიშნა, რომ განყოფილება ღამის პერიოდშიც აქტიურად მუშაობს. მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის

მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში).

3. კეთილმოწყობისა და გამწვანების განყოფილება კოდი 03 02, წლიური დამტკიცებული გეგმა 135200 ლარი, ფაქტიური ხარჯი 134583 ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 46400 ლარი, ფაქტიური ხარჯი 46020 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით 75500 ლარი, ფაქტიური ხარჯი 75313 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 3250 ლარი, ფაქტიური ხარჯი 3214 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი 1980 ლარი, ფაქტიური ხარჯი 1979 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 8070 ლარი, ფაქტიური ხარჯი 8057 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორმა დავით წულაძემ აღნიშნა, რომ განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობას. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ხდება მწვანე ნარგავების მოვლა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.

4. სასაფლაოს ზედამხედველობა და მეველეების განყოფილება კოდი 02 06 05, წლიური დამტკიცებული გეგმა 91720 ლარი, ფაქტიური ხარჯი 91667 ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 28200 ლარი, ფაქტიური ხარჯი 28200 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით 61090 ლარი, ფაქტიური ხარჯი 61038 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 920 ლარი, ფაქტიური ხარჯი 920 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი 1510 ლარი, ფაქტიური ხარჯი 1509 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორმა დავით წულაძემ აღნიშნა, რომ განყოფილება უზრუნველყოფს სასაფლაოების გაცეღვითი და შეწამვლითი სამუშაოების შესრულებას, ასევე დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან, ასევე უზრუნველყოფს ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 ერთეული სასაფლაოს მოვლა-პატრონობას. კერძოდ, აგარაკი N1, აგარაკი N2, ლაშისღელე, მაჩხვარეთი, ქალაქი (ატეკის), ორაგვის ღელე. შეკეთდა და შეიღობა სასაფლაოს ღობის დაზიანებული მონაკვეთები, შეკეთდა შესასვლელი ჭიშკრები, გაიწვლა და შეიწამვლა სასაფლაოები რამდენიმე ეტაპად. 24 საათის რეჟიმში ხდება ქალაქის სკვერების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან.

5. სასმელი წლის სისტემის ექსპლოატაცია კოდი- 02 02 02, წლიური დამტკიცებული გეგმა 42780 ლარი, ფაქტიური ხარჯი 42700 ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 5880 ლარი, ფაქტიური ხარჯი 5880 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით 29600 ლარი, ფაქტიური ხარჯი 29600 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 2764 ლარი, ფაქტიური ხარჯი 2763 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი 1248 ლარი, ფაქტიური ხარჯი 1200 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 3288 ლარი, ფაქტიური ხარჯი 9287 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორმა დავით წულაძემ აღნიშნა, რომ განყოფილება უზრუნველყოფს ქალაქ ლანჩხუთის გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდასა და დაზიანების აღმოფხვრას. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შემენილია წყლის ტუმბო.

6. ტრანსპორტისა და მექანიზაციის განყოფილება კოდი 02 07, წლიური დამტკიცებული გეგმა არის 25600 ლარი, ფაქტიური ხარჯი 21600 ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 21600 ლარი, ფაქტიური ხარჯი 21540 ლარი.

7.უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიება კოდი 03 04 , წლიური დამტკიცებული გეგმა არის 8500 ლარი, ფაქტიური ხარჯი 5900 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 900 ლარი, ფაქტიური ხარჯი 888 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარი, ფაქტიური ხარჯი 4960 ლარი.

მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობის თავშესაფარში გადაყვანილი იქნა 82 მაწანწალა ძაღლი.

8. სადღესასწაულო ღონისძიება კოდი 02 06 03, წლიური დამტკიცებული გეგმა არის 17000 ლარი, ფაქტიური ხარჯი 17000 ლარი, სხვა დარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 17000 ლარი, ფაქტიური ხარჯი 17000 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორმა დავით წულაძემ აღნიშნა, რომ განყოფილება უზრუნველყოფს საახალწლო ღონისძიებებს, ქალაქში სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნას და მოსახლეობის განწყობის ამაღლებას. ასევე უზრუნველყოფს ქალაქის მორთვას საახალწლო დეკორაციებით. ირთვება ქალაქის ცენტრალური მოედანი, ქუჩების ნაწილი და ცენტრის მიმდებარე სკვერები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული და დადებითად შეფასდა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

-ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვაში, შესრულებასა და კონტროლში არსებული სისუსტეების შედეგად, შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დაზიანებულია. მუნიციპალიტეტს არ შეუსწავლია პრობლემის გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები ზიანის ასანაზღაურებლად;

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ აღნიშნა, რომ კონტროლის მექანიზმის გამკაცრების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია ინსპექტირების ჯგუფი, რომელსაც ევალება ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება და მისი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სამუშაოების (ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია) შესყიდვის ფარგლებში ექსპლუატაციისას გამოვლენილი ხარვეზების დადგენის მიზნით, მერიაში ასევე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დავალებული აქვს პერიოდულად, მაგრამ არაუგვიანეს კვარტალში ერთხელ, უზრუნველყოს ანგარიშის წარმოდგენა. ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის მიერ გამკაცრდება კონტროლი შესასრულებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

მერის ინფორმაციით სახელმწიფო აუდიტის მიერ დახარვეზებული 14 ობიექტიდან 4 ობიექტზე არსებული ხარვეზი აღმოფხვრილია, დანარჩენ ობიექტებთან დაკავშირებით გამოსწორების მიზნით წერილობით მიმართული აქ ყველა შემსრულებელს და არსებული ვადის გადაცილების შემთხვევაში გადაეცამა სასამართლოს.

-სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები არაეფექტურად წარიმართა. მუნიციპალიტეტმა მოსახლეობას გადასცა სხვადასხვა გადასახური მასალა. მიუხედავად ამისა, მასალების უმეტესი ნაწილი გამოუყენებელია და სტიქიის შედეგები არ არის ლიკვიდირებული. მუნიციპალიტეტში არსებულმა სუსტმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრა და მიზნის მიღწევა;

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შესწავლის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც ევალებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული კერძო მესაკუთრეებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის შესწავლა, მიყენებული ზარალის სავარაუდო მოცულობის დადგენა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა. ამასთანავე მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია გაამკაცრებს მონიტორინგს სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტზე მიყენებული ზარალის ობიექტურად გამოვლენის მიზნით, რაც შეეხება აუდიტის დასკვნაში აღნიშნულ 2017-2018 წლებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების წარმართვას კომისიას გააჩნია განსხვავებული აზრი, ვინაიდან აღნიშნული სტიქიების დროს ფორსმაჟორულ სიტუაციაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება გაუწია 490 ოჯახს, აქედან 54 ოჯახს (მარტოხელა, სოციალურად დაუცველი, შშმ პირები) საკუთარი სახსრებით გამოუცვალა ამორტიზირებული სახლის სახურავები, ხოლო დანარჩენ ოჯახებს გადასცა სამშენებლო მასალები და ინვენტარი, რაც დასტურდება მიღება ჩაბარების აქტებით. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ თავისი ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინა ყოველივე ზემოაღნიშნული. ადამიანებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს გადაცემული მასალების გამოყენება, მასში არანაირი დანაშაული მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუძღვის. იმისათვის, რომ სტიქიის 100%-ით ლიკვიდაცია მომხდარიყო მუნიციპალიტეტის მერიას თავისი სახსრებით 490-ვე ოჯახზე უნდა მოეხდინა სამუშაოების შესრულება, რომლის ფინანსური შესაძლებლობაც მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ, 2 შემთხვევაში არასწორად მიაწოდა პრეტენდენტებს დისკვალიფიკაცია. შედეგად, გაიზარდა შესყიდვის ღირებულება, რაც არაეკონომიურად განკარგულ საბიუჯეტო რესურსს წარმოადგენს;

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მერის განმარტებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია სატენდერო კომისია, რომელიც იხილავს ტენდერების მიმდინარეობის პროცედურებს და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში იღებს სამართლიან გადაწყვეტილებებს. კომისიის ყველა წევრი იღებს სრულ პასუხისმგებლობას ყველა მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სატენდერო კომისია, მიმდინარე წელს აგრძელებს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას და მკაცრ კონტროლზე იქნება აყვანილი, კომისიის გადაწყვეტილებების შესაბამისობა კანონთან მიმართებაში.

-გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, რიგ შემთხვევებში, ობიექტები ჩაბარებულია და ანგარიშსწორება განხორციელებულია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ამასთანავე, ერთი ინფრასტრუქტურული პროექტის გამარტივებული შესყიდვის გზით შეძენის აუცილებლობა არ დასტურდება;

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მერის განმარტებით მიმდინარე წელს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდის დადგენის თვალსაზრისით გამკაცრდება ინსპექტირების ჯგუფის კონტროლი.

-დაგეგმვასა და კონტროლში არსებული მართვის სისუსტეების შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-სა და მერიის სამსახურს შორის ფუნქციები დუბლირებულია. ასევე, ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობა საჭიროებებთან შედარებით მაღალია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმისა, თუ რა ობიექტური საჭიროებით იყო განპირობებული ზოგიერთი ა(ა)იპ-ის და შტატის არსებობა.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დუბლირებულ ფუნქციებთან დაკავშირებით როგორც ცნობილია ეს ნაკლოვანებები აღმოფხვრილია, ხოლო რაც შეეხება გაზრდილ შტატებს როგორც მერიაში, ასევე საკრებულოში, შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ა(ა)იპ-ების სრულად შესწავლას მოახდენენ.

-ქონების განკარგვის პროცესში არსებული სისუსტეების გამო, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად ადმინისტრირება. ასევე ვერ დაიცვა მისი, როგორც მესაკუთრის ინტერესები, რადგან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები. შედეგად, მუნიციპალიტეტი კარგავს ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას;

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკუთრებაში არსებული განუკარგავი ქონების დახარვეზებული 18 შემთხვევიდან 9 უკვე აღმოფხვრილია, ხოლო დანარჩენზე მიმდინარეობს მუშაობა, რათა უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრას აღნიშნული ხარვეზები. ასევე მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიის შემუშავებაზე საკუთრებაში არსებული ქონების მართვის განკარგვისა და სათანადო კონტროლის მექანიზმების დაწესების შესახებ.

-მერიას არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს საბიუჯეტო ასიგნებების არაეკონომიურ და არარაციონალურ ხარჯვას;

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იგეგმება შესაბამისი დადგენილების პროექტის შემუშავება საწვავის ხარჯის ოპტიმიზაციისა და ავტოპარკის მოწესრიგების მიზნით.

-მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე;

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოუწესრიგებელი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გამო ვერ ხერხდება ხარჯის დამადასტურებელი საჭირო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენა, რაც იწვევს ზემოაღნიშნულ ხარვეზებს. კომისიის წევრთა მოსაზრებით ამ კუთხით კანონმდებლობაში განსახორციელებელია შესაბამისი ცვლილებები.

-საბიუჯეტო პროცესის წარმართვაში არსებულმა მართვის სისუსტეებმა, წარმოშვა სხვადასხვა ხასიათის ხარვეზი ბიუჯეტის დაგეგმვაში, დამტკიცებასა და შესრულებაში. შესაბამისად, დარღვეულია საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები;

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ N2712 2017 წლის 27 დეკემბრის საქართველოს მთავრობის განკარგულებით სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3,200.0 ათასი ლარი. შესაბამისად თანხა ჩარიცხული იქნა ბიუჯეტის სახაზინო ანგარიშზე, აქედან გამომდინარე ხარჯვა დამტკიცებული ბიუჯეტის მეშვეობით განხორციელდა შესაბამის პროექტებზე 2018 წლის განმავლობაში.

ასევე სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებაზე გამოყოფილი 550.0 ათას ლარი გახარჯული იქნა მერის ბრძანებით და შეზღუდული დროის გამო ვერ განხორციელდა აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა.

ზემოთაღნიშნულ ხარვეზებზე, რომელიც გამოკვეთილი იქნა სახელმწიფო აუდიტის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში მისი აღმოფხვრის მიზნით მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პერიოდულად იქნება მონიტორინგი განხორციელებული.

-მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი სამუშაოებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის აქტივების და სხვა რესურსების დაკარგვის, დაზიანების და არამართლზომიერი გამოყენების რისკებს.


კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ძირითადი სამუშაოებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია უკვე დაწყებულია.

კომისიას თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აუდიტორთა დასკვნით ა(ა)იპ ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი ვ. წულაძის, ტეატრისა და კინოს, სპორტისა და თემურ ფირცხალაიშვილის სახელობის შემოქმედთა მუზეუმებში არსებული ისტორიულ-კულტურული, სპორტული ექსპონატები წარმოადგენს მხარედმცოდნეობის მუზეუმში არსებული ექსპონატებისა და ექსპოზიციების დედნების ასლებს. მუზეუმის თანამშრომელთა განმარტებით არ დასტურდება მასალების ადგილზე მოძიებისა და შესწავლის ფაქტი. მასში არსებული ექსპონატები არ წარმოადგენენ მხარედმცოდნეობის მუზეუმში არსებული ექსპონატებისა და ექსპოზიციების დედნების ასლებს. კომისიას მიაჩნია, რომ არაჯეროვნად არის შესწავლილი ზემოთ აღნიშნული მუზეუმები. ექვს ქვეშაა მოცემული ჩათში მოღვაწე ადამიანთა საქმიანობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს

ვინაიდან ისინი წლების განმავლობაში ზრუნავდნენ თითოეული ფასდაუდებელი უნიკალური მასალის წიპიცხასა და შენახვაზე, ხოლო რაც შეეხება ერთიან სიგრძეში ამ მუზეუმების გაერთიანებას საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მსჯელობა, რომელიც განხილული და შეანხმებული იქნება შესაბამისი სამინისტროს სპეციალისტებთან.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ განიხილა და შენიშვნების გათვალისწინებით ცნობად მიიღო ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში.

ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:



/ გიორგი ჩახვაძე /

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №2**

**18.02.2020 წელი
14.00 საათი**

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 18 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

4. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის“ მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

5. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მიერ 2019 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ხსია „ოფრედიული დახმარების სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის“ მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული და დადებითად შეფასდა.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილშოვნობისა და მომსახურების ცენტრის მიერ 2019 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული და დადებითად შეფასდა.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში კომისიამ განიხილა და შენიშვნების გათვალისწინებით ცნობად მიიღო.







ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



გიორგი ჩაჩავაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო
ფურცელი

18.02. 2020 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	13.50	
2	ზაზა წულაძე	14.00	
3	კარლო კვიტაიშვილი	13.55	
4	ალექსანდრე მახათაძე	13.55	
5	ზაალ სანაძე	13.55	
6	ოთარ პატიშვილი	მ. მსხმოპ	
7	ზურაბ კუკულაშვი	13.55	
8	ირაკლი მარშანიშვილი	მ. მსხმოპ	
9	გოგი მორჩილაძე	მ. მსხმოპ	